

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #87

ქ. თბილისი

2021 წელი, 29 აპრილი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, დავით ჭელიძე, თევდორე ისაკაძე, ჯაბა ჯიშკარიანი

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გიორგი გაბაშვილი, ნიკოლოზ ვაჩივიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ლევან ჟორჯოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს #12-0321118126-03 – 28.04.2021 წელი)

2.	<p>„ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ 245416401) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს #12-0321118128-03 – 28.04.2021 წელი)</p>
3.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს #12-0321118142-03 – 28.04.2021; 12-0321118143-03 – 28.04.2021)</p>
4.	<p>ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118138-03 – 28.04.2021 წელი)</p>
5.	<p>„ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის (ინდ. ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე შენობა-ნაგებობა; ერთი კომერციული ობიექტი;) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118144-03 – 28.04.2021 წელი)</p>
6.	<p>„ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118140-03 – 28.04.2021 წელი)</p>

7.	ქალაქ თბილისში სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118141-03 – 28.04.2021 წელი)
8.	„ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი, კომერციული, სავაჭრო, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118139-03 – 28.04.2021 წელი)
9.	ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.865; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118136-03 – 28.04.2021 წელი)
10.	„ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118137-03 – 28.04.2021 წელი)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020

წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (საკრებულოს #12-0321118126-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება შემოსავლების ნაწილში საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 12 000,0 ათასი ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 28 აპრილის N04-03/55043 წერილის საფუძველზე, ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობის გადაჭარბება), გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 30 000,0 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის N632 განკარგულებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით), სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები - 800,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 1,100.0 ათასი ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან) - 24,000.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 11 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 78,900.0 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 310,3 ათასლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 1 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 495,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 11) – 583,9 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 8 835,5 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 17 260,3 ათასი ლარით, საბაგრო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) – 11 639,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 2 259,8 ათასი ლარით, სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებების (კოდი 02 03 02) ქვეპროგრამის ასიგნება - 517,9 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05)

პროგრამის ასიგნება - 2000,0 ათასი ლარი, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 231,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნება - 4 120,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 7 400,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) ქვეპროგრამის ასიგნება - 300,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 250,0 ათასი ლარი (ა(ა)პ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში რემონტი), აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 400,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 1 800,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 149,7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 375,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 14,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 154,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 23,6 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 39,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 51,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 60,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 66,6 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 500,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 500,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) – 1 300,0 ათასი ლარი, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 1 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 06 08 04) 6 108,6 ათასი ლარი, მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) პროგრამის ასიგნება - 1 000,0 ათასი ლარი, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 164,5 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 7 638,5 ათასი ლარი. გარდა ამისა, ბიუჯეტით განსაზღვრულ ჩამონათვალს დაემატა ახალი პროგრამა - 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 400,0 ათასი ლარის ოდენობით. მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნება – 583,9 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) პროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) ქვეპროგრამის ასიგნება - 231,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 495,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 300,0 ათასი ლარი, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 500,0 ათასი ლარი, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნება - 3 630,0 ათასი ლარი. ასევე, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგენს 140 ერთეულს. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 121 876,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 732,9 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: · გადასახადები 654 129,4 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 157 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 462 129,4 ათასი ლარი. · გრანტები 235 936,1 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 476,1 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 205 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 30 000,0 ათასი ლარი. · სხვა შემოსავლები 183 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 25 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი - სანებართვომოსაკრებელი-11500,0ათასილარი; - სხვადასხვაშემოსავლები – 33867,4ათასილარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 191 310,3 ათასი ლარით, მათ შორის: · ხარჯები განსაზღვრულია 888 949,6 ათასი ლარი; · არაფინანსური აქტივების ზრდა – 286 753,1 ათასი ლარი; · ვალდებულებების კლება – 15 607,6 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 184 783,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 238 753,1 ათასლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა – 286 753,1 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება – 48 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (69 577,4) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება – 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 607,6) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 15 607,6 ათასილარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (53 969,8) ათასი ლარით. გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება(გამოცემა): დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება. შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დადგენილების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ 245416401) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს #12-0321118128-03 – 28.04.2021 წელი)

კომისიამ იმსჯელა, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ 245416401) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებით განსაზღვრული გარემოებები: შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ანაგი“-ს (ს/კ 245416401) მიმართ, მისამართებზე ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ს/კ N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10, (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა N58 (ს/კ N01.72.14.037.415) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში განისაზღვრება შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები: ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 11.0-ით; მიწის ნაკვეთის ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-1) განისაზღვროს - 0.7-ით, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0.2-ით; ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის და ავტოსადგომების რაოდენობის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები. კერძოდ, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 80-ით. ამასთან, საზოგადოებრივი სივრცის (კომერციული ფართი) წილი განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის -10 %-ის ოდენობით; გ) არქიტექტურული

პროექტის შეთანხმება მოხდეს არაუმეტეს 27 საცხოვრებელი სართულის ფარგლებში; დ) შპს „ანაგმა“ (ს/ნ 245416401) შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის (1 188 345 (მილიონ ასოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ე) თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი“ (ს/კ: 205064712), შპს „გიეთვეი პოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ: 212272869), შპს „დიდომი დისტრიქტ აფართმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დიდომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების და 2021 წლის 26 აპრილს დადებული, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების შესაბამისად; ე) შპს „ანაგმა“ (ს/ნ 245416401) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, თანხის გადახდის მოთხოვნის და თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას; ვ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება. შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს #12-0321118142-03 – 28.04.2021; 12-0321118143-03 – 28.04.2021)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს #12-0321118142-03 – 28.04.2021; 12-0321118143-03 – 28.04.2021) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-

18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტინემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 13 წინადადება და პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

12-0321118142-03 – 28.04.2021;

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და „თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში“ (დანართი №1.11). კერძოდ, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით „A1“ არეალში. იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ „A1“ არეალში განვითარება დასაშვებია ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; ვინაიდან, გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისთვის აღნიშნული რეგულირება გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოცემული ტერიტორიის დამოუკიდებლად (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით) განვითარება დასაშვებია, იგი მოიხსნება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკიდან (დანართი N1.11) და შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკაშიც“ (დანართი №1).

12-0321118143-03 – 28.04.2021

ა) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის ქ. N2ბ-ს მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.961-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 7 აპრილის N01210973641 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, 81.08.28.961 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებული ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ამასთან, მოთხოვნილ ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო 2021 წლის 8 აპრილის N61-01210984015 წერილის შესაბამისად. ვინაიდან N81.08.28.961 საკადასტრო ერთეულს არ აქვს მისასვლელი გზა, მოთხოვნილი ცვლილების არეალში განხორციელდება მისი მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის ქ. N2ბ-ს მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.961-ის მიმდებარედ) ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი; N81.21.06.241) ნაწილზე მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი განვითარებულია დაბალი ინტენსივობით, დომინირებულ სახეობას წარმოადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი; N81.21.06.241) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.858) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 24 მარტის N01210832408 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 26 მარტის N0121085579 წერილის მიხედვით მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან დამოუკიდებლად არსებობს მისასვლელი გზა. მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონის გაუქმება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას, რომელმაც შესაძლოა სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში წარმოქმნას დაბრკოლება. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ამასთან, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: 72.16.17.465) და აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ მცირე მონაკვეთზე (დაახლოებით 30კვ.მ), გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) რათა არსებული ხარვეზი გამოსწონებულ იქნას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.21.858) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, დიდ ვარცლაში მდებარე მიწის ნაკვეთი N15/310-ზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.015.310) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.72.14.015.310 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 20 აპრილის N18-01211103726 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად, წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, დიდ ვარცლაში მდებარე მიწის ნაკვეთ 15/310-ზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.015.310) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით

განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.224) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონის ფარგლებში და მათზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ამასთანავე, N81.05.09.224 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება N81.05.09.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.09.224) და მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.920) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. განმცხადებლის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილია N01.10.18.009.920 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე, (ფართობი: 177 კვ.მ) მისი შემდგომი შესყიდვის მიზნით. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N53 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც საპროექტო ტერიტორიაზე განისაზღვრა ფუნქციური ზონირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 25 თებერვლის N0121056187 წერილის მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული საპროექტო ფუნქციური ზონირების კონფიგურაციის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) იცვლება განცხადებით მოთხოვნილი ცვლილების მონაკვეთის ნაწილსა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებული ზონირების მიღმა არსებულ, ხარვეზის სახით დარჩენილ ტერიტორიაზე. ცვლილება სრულად მოიცავს 72 კვ.მ-ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.009.920) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 72 კვ.მ);

ზ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა N6გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.08.348) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 22 აპრილის N01211123115 წერილით კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება N81.02.08.348 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა N6გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.02.08.348) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 39/017) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.039.017) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის ნაწილის მოხსნა (ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში) და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 21 აპრილის

N01211112497 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, მოიხსნას საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.039.017) შუა ნაწილში გავრცელებული თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა. რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიის დარჩენილ ნაწილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მასზე გავრცელებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის არსებული სახით შენარჩუნება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 39/017) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.039.017) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის ნაწილის მოხსნა (ცენტრალურ ნაწილში) და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში სოფელ კიკეთში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.13.072 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 20 აპრილის N18-01211103678 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება. მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით და ფაქტობრივი გარემოების დაფიქსირების მიზნით, ქალაქ თბილისში სოფელ კიკეთში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N81.01.13.072 და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ი.ჭავჭავაძის ზონა, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01 20 01 017 037) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 13 აპრილის N01211033886 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ, სამხრეთით, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ი.ჭავჭავაძის ზონა, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.017.037) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: : N81.02.12.731, N81.02.18.976, 81.02.18.389 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 26 აპრილის N01211164073 წერილის მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში ითვალისწინებს რა ფუნქციური ზონის მოთხოვნილი ცვლილების მიზნობრიობას, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების შემდგომ გაერთიანებას, ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემდგომ გაერთიანებულ მიწის ნაკვეთს ექნება მისასვლელი გზა, საზოგადოებრივი სივრცე (სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან. შესაბამისად, ზონის ცვლილების შემდგომ საზოგადოებრივი სივრცის- გზის გარეშე დარჩენილი რეგისტრაციები არ წარმოიქმნება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.12.731, N81.02.18.976, 81.02.18.389 და მიმდებარე ტერიტორია) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

მ) ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში (ნაკვეთი 122/084) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.122.084) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 27 აპრილის N01211173151 წერილით კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა წარმოადგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მისი გასხვისება ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში (ნაკვეთი 122/084) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.122.084) ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის

საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია შემდგომში მისი შესყიდვის პირობით;

ნ) ქალაქ თბილისში, საქართველოს გაერთიანებისთვის მეზრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.111) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 26 აპრილის N01211164074 წერილით თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 27 აპრილის N01211173186 წერილით თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, საქართველოს გაერთიანებისთვის მეზრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.111) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 13 წინადადება და შესატანი ცვლილებები გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4. ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118138-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044). ჯამური ფართობი: 10 000 კვ.მ. ტერიტორიაზე მოხვედრა შესაძლებელია კახეთის გზატკეცილის გავლით გ. ამილახვარის ქუჩიდან, რომელიც

ტერიტორიას უშუალოდ დასავლეთით ესაზღვრება. არსებული კვარტალი ჩამოყალიბებულია მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, ხოლო ტერიტორიის დასავლეთით არსებული გზის გადაღმა ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სადაც აღნიშნება არასისტემური ინდივიდუალური განაშენიანება და მდებარეობს მდინარე ფორაქანისხევი. საპროექტო ტერიტორია ხვდება „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის დაბრკოლებების შემზღვეველი ზედაპირებით შემოფარგლული არეოდრომის რაიონში“ (აფრენისას სიმაღლის აღების და დაფრენაზე შესვლის ზედაპირების ნაწილი), აღნიშნული შეზღვევა გასათვალისწინებელია შემდგომი პროექტირების ეტაპზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილის რუკის მისყველათ, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). გამწვანებული ტერიტორიების რუკით ასევე შემოთავაზებულია სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N213 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლითაც გათვალისწინებული იყო სამედიცინო ქირურგიული ძაფების საწარმოო ობიექტის და 3 დამხმარე შენობა-ნაგებობის განთავსება. ასევე, ტერიტორიის უმეტესი ნაწილის გამწვანება და სარეკრეაციო-დასასვენებელი სივრცის მოწყობა. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება ითვალისწინებს მთავარი შენობის განთავსების კუთხის მცირედით ცვლილებას, ემატება რამდენიმე დამხმარე ნაგებობა და 2 ღია ფანჯატური, ასევე, შეიცვალა შეთანხმებული დამხმარე ნაგებობების განთავსების ადგილი, ტერიტორიაზე 3 შესასვლელის ნაცვლად განთავსდა 2 შესასვლელი, საიდანაც ერთი საფეხმავლო გადაკეთდა სამანქანოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 15 აპრილის N01211052355 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. წარმოდგენილი ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქალაქ თბილისში, დასახლება ორხევი, მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.18.003.044) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N365 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

5. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის (ინდ. ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე შენობა-ნაგებობა; ერთი კომერციული ობიექტი;) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118144-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687). ფართობი 8 750 კვ.მ. საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია და მისი რელიეფი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დახრილია. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა ხორციელდება ლ. კვაჭაძის ქუჩიდან ი. კეჭყაძის I შესახვევის გავლით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მარტის N108 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. წარმოდგენილი წინადადებით, იგეგმება ტერიტორიაზე დადგენილი ფუნქციური ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შენარჩუნება და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების ფუნქციით განვითარება. კერძოდ, წარმოდგენილია 20 საკადასტრო ერთეულად გამიჯვნა, აქედან 18 საკადასტროზე დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) შესაბამისი რეგლამენტით განვითარება, ხოლო 2 საკადასტროზე მოეწყობა გზა და განვითარდება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ერთ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N1) ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლთან ერთად დაგეგმილია ერთი კომერციული შენობის განთავსება. საპროექტო წინადადებით გზისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე გათვალისწინებულია

ცალმხრივი მოძრაობის მისასვლელი გზის მოწყობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უერთდება სააგენტოს მიერ დაგეგმილ სატრანსპორტო გზას და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ცენტრალურ გზას. ტროტუარის მოწყობა ხდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის ხარჯზე. წარმოდგენილი ალბომის გენ-გეგმაზე N13 მიწის ნაკვეთი იტვირთება დროებითი სერვიტუტით, რომლის სიგანეც ტზ-1-თან ერთად შეადგენს 3,5 მეტრს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილ სატრანსპორტო გზის მოწყობამდე საავტომობილო მოძრაობას. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). მიწის ნაკვეთის ფართობი: 8 750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ფართობი: 7 085 კვ.მ განაშენიანების კოეფიციენტი: კ-1=0,5; (3 808 კვ.მ) გან. ინტენსიობის კოეფიციენტი: კ-2=0,8 (5 938 კვ.მ) გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,4; (2 840 კვ.მ) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფართობი : 1 665 კვ.მ გამწვანების კოეფიციენტი: კ-3=0,1; (167 კვ.მ) შენობების მაქს. სართ. - 2-3 სართული (არაუმეტეს 12 მ.) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 27 აპრილის N01211173172 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.15.687 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 აპრილის N01211173328 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ბურღების მიწაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდა: N72.16.15.687) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

6. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118140-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით,

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე, დიდი დიდმისა და გლდანის დამაკავშირებელი ხიდის (მინდელის ხიდის) მიმდებარედ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. საერთო ფართობი 41 566 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ზობ უოლშის ქუჩა. სამხრეთით და აღმოსავლეთით განთავსებულია სპორტული კომპლექსი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სპორტული დისციპლინის მოედნებს, დარბაზებსა და საცურაო აუზებს, ხოლო ჩრდილოეთით არსებული ტერიტორია განვითარებულია, როგორც მჭიდრო საცხოვრებელი უბანი, რომლის სართულსა და 9-დან 22 სართულამდე მერყეობს. ამასთან, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მომიჯნავედ, შესაბამისად მასზე ვრცელდება დადგენილი 500 და 200 მეტრიანი შეზღუდვის არეალები. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებულია და გეგმარებისას 500 მეტრიან შეზღუდვის არეალში წარმოდგენილია 4 სართულიანი და 17 მეტრის სიმაღლის პერიმეტრულად დაგეგმარებული შენობა-ნაგებობები, რომელთაც გააჩნიათ შიდა ერთიანი, ღია სარეკრეაციო სივრცე. საავტომობილო გზა და მიწისქვეშა ავტოსადგომებში ჩასასვლელელები მოწყობილია კომპლექსის გარე პერიმეტრზე, შესაბამისად, შიდა სარეკრეაციო სივრცეში არ ხდება საავტომობილო გადაადგილება. ასევე ავტოსადგომები მთლიანად მოეწობა მიწისქვეშ, გარდა საბავშვო ბაღისათვის გამოყოფილი 4 ავტოსადგომისა. აღნიშნული ხელს უწყობს საპროექტო ტერიტორიის მეტ გამწვანებულ ღია სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნებას. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე 14 კმ ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N199 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება დამუშავებულია N01.72.14.009.020 საკადასტრო ერთეულზე, ხოლო განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოხდა საპროექტო არეალში N01.72.14.009.605 და N01.72.14.009.586 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების შეყვანა. აღნიშნულის შედეგად, საპროექტო არეალის ფართობი განისაზღვრა 41 566 კვ.მ.- ით. პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები: საპროექტო ნაკვეთის ფართობი: 41 566.0 კვ.მ. საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) კ1 = 0.5 კ2 = 2.1 კ3 = 0.3 ნაკვეთი I (საცხოვრებელი სახლები); ფართობი: 40 958 კვ.მ განაშენიანების რეგულირების პარამეტრები: კ1 = 0.5 კ2 = 2.1 კ3 = 0.3

ნაკვეთი II (ბაგა-ბალი); ფართობი: 608 კვ.მ. განაშენიანების რეგულირების პარამეტრები: კ1 = 0.5 კ2 = 2.1 კ3 = 0.3 წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ხდება ამერიკის საელჩოს 500-მ იანი შეზღუდვის გათვალისწინება. არეალში განთავსებული შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვრა 17-მ-ით და გადახურვის ტიპი მორგებულია დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო პროექტის სტადიაზე იმ შენობა-ნაგებობებზე დიობის განთავსების საკითი, რომელიც გადის ამერიკის საელჩოს ფასადის მხარეს, შეთანხმდეს საელჩოსთან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 22 აპრილის N012111253 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 20 აპრილის N01211103657 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.72.14.009.020; N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.605; N01.72.14.009.586; N01.72.14.009.020) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

7. ქალაქ თბილისში სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118141-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176). ნაკვეთების საერთო ფართობი: 13243 კვ.მ. ტერიტორიის გარშემო, განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში, უმეტესად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს ფიქსირდება მეჩხერი განაშენიანება. საპროექტო

ტერიტორია არის გაუნაშენიანებელი, სამი მხრიდან უზრუნველყოფილია ასფალტის საავტომობილო გზით. ჩრდილოეთით მდებარეობს გრუნტის გზა, აღმოსავლეთით მდებარე გზა უერთდება აგარაკის ქუჩას, რომელიც ტერიტორიას აკავშირებს ავთო ვარაზის ქუჩასთან და მუხათწყაროს გზასთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიზანია ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს ქალაქგეგმარებითი მოთხოვნების შესაბამისად და შეიქმნას სწორად დაგეგმარებული ინდივიდუალური საცხოვრებელი უბანი. ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია ფუნქციური პარამეტრების ცვლილების გარეშე, რაც ნიშნავს იმას, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შენარჩუნდება არსებული საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ასევე, დადგინდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნაგაერთიანება მოხდება საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) ფუნქციისათვის დადგენილი პარამეტრებით და მიწის ნაკვეთი დაიყოფა 20 საკადასტრო ერთეულად, აქედან 18 საკადასტრო ერთეული იქნება საცხოვრებელი ფუნქციის და 2 გამოიყოფა სატრანსპორტო ზონისთვის. შენობის სავარაუდო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები: მიწის ნაკვეთის ფართობი: 5020 კვ.მ. განაშენიანების კოეფიციენტი: $k-1=0,5$; განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი: $k-2=0,8$; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი: $k-3=0,4$; შენობა-ნაგებობა არაუმეტეს 3 სართული. საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 13 აპრილის N01211032265 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 5 აპრილის N01210952861 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N72.16.09.176, N72.16.09.177, N72.16.27.035, N72.16.27.041 და N72.16.27.152 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 1 აპრილის N61- 01210913295 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N72.16.27.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ტერიტორია, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში; ქალაქი თბილისი, სოფელ აგარაკში, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.27.152; N72.16.27.041; N72.16.27.035; N72.16.09.177; N72.16.09.176) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

8. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის (მრავალბინიანი საცხოვრებელი, კომერციული, სავაჭრო, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118139-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში რეგისტრირებულ მიწის მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.523; N01.72.14.009.443). ჯამური ფართობი: 12 756 კვ.მ. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან საზღვრავს ბობ უოლშის ქუჩა. დასავლეთით ესაზღვრება კერძო, თვითმმართველის და სახელმწიფოს მიწის ნაკვეთები; ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი რელიეფის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აუთვისებელია, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს აშშ-ის საელჩო. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ჩამოყალიბებულია გრუნტოვანი გზა, რომელიც პირდაპირ აკავშირებს ბობ უოლშის ქუჩას აღმაშენებლის ხეივანთან. საპროექტო ტერიტორია ხვდება აშშ-ს საელჩოს შეზღუდვის 500 მეტრიან ბუფერულ ზონაში სადაც, სამშენებლოდ განვითარება შეზღუდულია განსაზღვრული პირობებით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის N6/71381 (რეგისტრაციის: N06-01203661341-16) წერილის შესაბამისად, მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო/გეგმარებითი პროცედურები ნაწარმოები უნდა იქნას აშშ-ს საელჩოს 2020 წლის 25 ივნისის წერილში ასახული და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 ივნისის N6/33914 წერილში წარმოდგენილი რეგულაციების სრული დაცვით. კერძოდ, „უკლებლივ ყველა შენობის სიმაღლე შესაბამისობაში იყოს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს N061/07 დიპლომატიური ნოტაში მითითებულ შენობათა დასაშვებ სიმაღლეებთან (საელჩოს კომპლექსის გარე პერიმეტრზე 200 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 10 მეტრი სიმაღლის, ხოლო 500 მეტრის რადიუსში არაუმეტეს 17 მეტრი სიმაღლის შენობა/ნაგებობები)“. ამასთან, განსათავსებელი შენობა-ნაგებობათა დასაშვები სიმაღლეებისა და სართულიანობის სავალდებულო შეზღუდვა უნდა აითვალოს აშშ-ს საელჩოს ნული ნიშნულიდან (+426.39). „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18

დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ასევე, იგი მდებარეობს „დიღმის ჭალების“ ქალაქგეგმარებით „A“ არეალში, სადაც განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, კომერციული და სხვა (30%) საცხოვრებელი (70%) ფუნქციებით. საპროექტო წინადადებით ტერიტორია წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის სახით, რომლიდანაც ერთი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას და მისი განვითარება დაგეგმილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან შეთანხმების საფუძველზე. საპროექტო წინადადებით ტერიტორია განვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ზონის ცვლილება ხორციელდება გენგეგმაში ფუნქციური ზონების ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, არსებული სატრანსპორტო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაწილი იცვლება სსზ-2-ით, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციური სახეობების განვითარება: დომინირებული სახეობა - საცხოვრებელი, ასევე კომერციული და დამხმარე ფუნქციის მქონე შენობანაგებობების განთავსება და საპროექტო არეალის ფარგლებში დაგეგმილი სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა და გაჯანსაღება; წარმოდგენილი გადაწყვეტით სრულად არის გათვალისწინებული აშშ-ს საელჩოს მიერ განსაზღვრული სამშენებლო შეზღუდვები. დაგეგმილია 6 შენობის განთავსება; სართულიანობა მერყეობს 3-დან 8-მდე (მაქს.8 სართული). საპროექტო ფუნქციური ზონირება: არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები: N1 ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.523); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); (11 656 კვ.მ) კ1=0,5 კ2=3,5 (40 500 კვ.მ) კ3=0,3 N2 ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009 443); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); (1 100კვ.მ) კ1=0,1 კ2=0,2 (192 კვ.მ) კ3=0,3 მთლიან საპროექტო არეალზე კომერციული-12 538კვ.მ.-30% საცხოვრებელი-28 593კვ.მ.-70% ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 28 აპრილის N01211181463 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 28 აპრილის N01211182911 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 22 აპრილის N61- 01211123409 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი,

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.72.14.009.443 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალში და განვითარდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2021 წლის 21 აპრილს N0121111334-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.443; N01.72.14.009.523) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

9. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.865; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118136-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში (საკადასტრო კოდები: NN81.02.19.878, 81.02.19.879, 81.02.19.880, 81.02.19.881, 81.02.19.883, 81.02.19.884, 81.02.19.885, 81.02.19.886, 81.02.19.887, 81.02.19.888, 81.02.19.889, 81.02.19.893, 81.02.19.890, 81.02.19.891, 81.02.19.892, 81.02.19.894, 81.02.19.862, 81.02.19.882, 81.02.19.860, 81.02.19.861, 81.02.19.863, 81.02.19.867, 81.02.19.864, 81.02.19.865, 81.02.19.866, 81.02.19.868, 81.02.19.869, 81.02.19.870, 81.02.19.871, 81.02.19.872, 81.02.19.873, 81.02.19.874, 81.02.19.875, 81.02.19.876, 81.02.19.877). საერთო ფართობი შეადგენს 2 ჰა (20 000 კვ.მ). საპროექტო ტერიტორია გაუნაშენიანებელია და წარმოდგენილია მცირედი ქანობით აღმოსავლეთის მიმართულებით. ტერიტორიის მიმდებარედ, აღმოსავლეთით და სამხრეთით (წავკისის ველი) შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმები. მიმდებარე ტერიტორია გაუნაშენიანებელია, საპროექტო ტერიტორიას სატრანსპორტო წვდომა აქვს თბილისის-კოჯრის ქუჩასთან. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა (რზ). „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N81.02.13.652; N81.02.3.651) ერთბინიანი

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ივლისის N233 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.65; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის თანახმად, სარევიზიო ქალაქთმშენებლობით დოკუმენტს წარმოადგენს კოჯორი-შინდისის მიმდებარედ გაუნაშენიანებელი ტერიტორიების საშენებლო ათვისების მიზნით დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმები (რევიზიის მიზნად განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმებით გათვალისწინებული საინჟინრო და სოციალური უზრუნველყოფის მიმართების შეფასება დაგეგმილ და არსებულ განვითარებებთან და შესაბამისი საპროექტო ცვლილებების განხორციელება); წარმოდგენილი ცვლილების პროექტით მოთხოვნილია ტერიტორიის სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ნუსხიდან ამოღება და ფუნქციური ზონის ცვლილება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონების შესაბამისად. კერძოდ, სარეკრეაციო ზონის (რზ) ნაცვლად დაფიქსირდეს საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით ტერიტორიას გააჩნია თვითმკმარი აუცილებელი სოციალური და საინჟინრო ინფრასტრუქტურა. საპროექტო კოეფიციენტები კი შემდეგია: სზ-2 - კ1=0.5, კ2=0.8, კ3=0.3 რზ-2 - კ1=0.2, კ2- კ3=0.8. ტზ-1 - კ1 - კ2- კ3=0.1. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე და სართულიანობა - 15მ.; 3 სართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 10 თებერვლის N0121413398 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 14 აპრილის N01211031967 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა დამტკიცდეს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება. ყოვლივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.65; 81.02.13.651) ინდივიდუალური ერთბინიანი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების

რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N353 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცება დასაშვებია. ამავდროულად, ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი რევიზიის მიზნების შესაბამისია, შესაძლებელია განაშენიანების რეგულირების გეგმა ამოღებულ იქნეს სარევიზიო ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ნუსხიდან და შესაბამისი ცვლილება განხორციელდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ – რუკაში (დანართი N1).

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

10. „ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-0321118137-03 – 28.04.2021 წელი)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში და იგი მოიცავს სამ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038). ამ ეტაპისთვის ადრე არსებული ნაგებობები უკვე დაშლილი და გატანილია ტერიტორიიდან, შესაბამისად, ის გაუნაშენიანებელი არეალის სახით არის წარმოდგენილი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საპროექტო ნაკვეთების სიახლოვეს მდებარეობს საპარკო არეალით გარშემორტყმული რიტუალების სასახლე. ტერიტორიასთან სატრანსპორტო და საფეხმავლო კავშირები ხორციელდება უშუალოდ ბოჭორმის ქუჩიდან და დოლაბაურის I ქუჩიდან. ტერიტორია მოქცეულია შერეული ინტენსივობის მქონე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ობიექტების გარემოცვაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) და ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ). ასევე, მცირე ნაწილზე ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება. „ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.17.13.045.100; 01.17.13.045.099; 01.17.13.045.038) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 სექტემბრის N241 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. სრული საპროექტო არეალის ფართობია 8283 კვ.მ. კომპლექსის ფარგლებში განვითარებადი ფუნქციური სახეობების შერევის ხარისხი მიესადაგება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) რეჟიმის მოთხოვნებს: 75% საზოგადოებრივი/25% საცხოვრებელი, რაც განიხილება შემოთავაზებული კონცეფციის პრიორიტეტულ მახასიათებლებში. დამხმარე სახეობად გეგმარდება სავაჭრო კომერციული სექტორი, რომელიც მოიცავს 6400 კვ.მ-ს. ავტოსადგომების რაოდენობა რეგულირდება ნაკვეთზე მოქმედი ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მოთხოვნათა შესაბამისად და ჯამში შეადგენს 65 საპარკინგე ადგილს. საპროექტო არეალის გზისპირა ზოლში იგეგმება (დაახლოებით 4/3.2 კვ. მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება, რაც ნაკარნახევია წარმოდგენილ ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით გავრცელებული ურბანული შიდაკვარტალური გამწვანებული ლოკაციით. საპროექტო არეალის ეს კონკრეტული მონაკვეთი მიესადაგება იმ არელს, სადაც თავმოყრილია შესანარჩუნებელი მარადმწვანე ხე-ნარგავები. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 8 283 კვ.მ საპროექტო წინადადება საჭიროების ფუნქციური ზონის ცვლილებას; საპროექტო ფუნქციური ზონირება - საკრეაციო ზონა 2 (რზ-2); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სართულიანობა: 19 სართულიანი და 2 სართულიანი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) (ფართობი: 7809.5 კვ.მ) კ1- 0.4 კ2 – 4,6 კ3 – 0,2 სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) (ფართობი: 473.2 კვ.მ) კ1- 0.2 კ2 – კ3 – 0.8 სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) (ფართობი: 473.2 კვ.მ) კ1 - კ2 – კ3 – 0.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 აპრილის N012110625 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 20 აპრილის N01211103675 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099 და N01.17.13.045.038 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.045.100; N01.17.13.045.099; N01.17.13.045.038 (ნაკვ. 45/038)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რ. სოხაძე

რევაზ სოხაძე